ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 220

"23" ივნისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის გივი ამილახვარის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ I ჩიხს მიენიჭოს ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწის, ზემო ქართლის სადროშის სარდალის გივი ამილახვარის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6)

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


X_493027.1264
Y_ 4616216.6339
X_492728.8172
Y_ 4616052.2332
I ჩახი
გივი ამილახვარის ქ.
X_492670.5589
Y_ 4615281.3248